ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №01-06/02

დაბა ქედა, 25 თებერვალი, 2022 წელი

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე
სხდომა დამთავრდა: 13:20 საათზე

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ყველა ესწრებოდა .

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე-ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა აბულაძე- სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ამირან წულუკიძე-საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე-სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე- ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე- ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
დავით სირაბიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯიმშერ სამნიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ირაკლი მახარაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე.
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მინდია არძენაძე-საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე-საკრებულოს წევრი;
გოჩა ჟღენტი-საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე- საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/02 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

25 თებერვალი, 2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მზია ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/02 მორიგი სხდომა

მოქალაქეთა რეგისტრაციის ფურცელი

25 თებერვალი, 2022 წელი

№	სახელი,გვარი	პირადი №	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა	შენიშვნა
1	[illegible]	61008000606	595003996	[illegible]	
2					
3					
4					
5					
6					
7					
8					
9					
10					
11					
12					
13					
14					
15					
16					
17					
18					
19					
20					
21					
22					
23					
24					
25					

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ დღის წესრიგის წარდგენამდე გააკეთა განცხადება უკრაინა-რუსეთის ფართომაშტაბიანი ომის თაობაზე და სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინის სახელმწიფოს და იმედი გამოთქვა რომ მალე დასრულდება რუსეთის აგრესია. თავმჯდომარის განცხადებით მნიშვნელოვანია სოლიდარობა გამოვუცხადოთ უკრაინელ ხალხს და არსებული საომარი მდგომარეობა გაყონებული არ ინქას მიზანშეუწონელი განცხადებებისათვის.

შემდეგ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის №01-06/02 მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

2. ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის სოფლების ზენდიდისა და ცხემნის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაციასთან დაკავშირებით განხორციელებული სამუშაოების შესწავლის მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ წინადადების მოწონების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური
მოძრაობა“-ს თავმჯდომარე: დავით სირაბიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

დღის წესრიგის დამტკიცებამდე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა თავმჯდომარეს მათ მიერ შემოტანილი წინადადება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეზოლუციის პროექტზე - ,,უკრაინაში რუსეთის სამხედრო ესკალაციის შესახებ“ (წერილის ნომერი №95-95-220561; 25.02.2022 წელი), აღნიშნული საკითხი შევიდოდა თუ არა მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის პროექტში?

სხდომის თავმჯდომარის განცხადებით, რადგანაც ბიუროს სხდომა უკვე ჩატარებულია და დღის წესრიგი განსაზღვრული, წარმოდგენილი საკითხის კომისიის

სხდომაზე განუხილველად დღის წესრიგში შეტანა ამ ეტაპისთვის მიზანშეუწონლად მიიჩნია. თუმცა პროცედურული ნაწილის დაცვით, აუცილებელია საკითხის დღის წესრიგში დამატება კენჭისყრით გადაწყდეს.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი საკითხის დღის წესრიგის პროექტში შეტანას კენჭი უყარა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 15.

დავით სირაბიძემ საკრებულოს ასეთი გადაწყვეტილება თავის არიდებად მიიჩნია და განაცხადა რომ ,,თავისუფალი ადამიანები ვართ და ასე არ უნდა გვიჭირდეს თავისუფალი მხარდაჭერის დაფიქსირება".

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ განახცადა, რომ ამ რეზოლუციით საკრებულოს ოპოზიციას უნდოდა გამოეხატა, თუ როგორ გმობენ რუსეთის ქმედებას და ისინი ამით რუსეთს ომს არ უცხადებდნენ.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, რეზო თურმანიძემ აღნიშნა, რომ უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიას გმობს და ამის თაობაზე სხდომის დაწყების წინს საკრებულოს თავმჯდომარემაც განაცხადა, ასევე მნიშვნელოვანია სოლიდარობის გამოცხადება უკრაინელი ხალხის მიმართ, რაზეც საკრებულოს უმრავლესობის წევრები ერთიან პოზიციას ყოველთვის აფიქსირებენ. თუმცა საკრებულო ვერ განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას, მითუმეტეს რეზოლუციის მიღებით, რადგანაც ეს რამდენად შედის ადგილობრივი თვითმართველობის კომპეტნციაში დასაზუსტებელია.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის №01-06/02 მორიგი სხდომის დღის-წესრიგი.

1. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი №12-95220461-95, 15.02.2022 წელი).

მომხსენებელმა საკრებულოს წარუდგინა ადგილობრივ ბიუჯეტში დაგეგმილი ცვლილებები შემდეგი სახით:

ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ცვლილების რეესტრი

№	პროგრამული კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	თანხა -/+	შენიშვნა
1		კაპიტალური ტრანსფერი	84 079	აჭარის ა.რ. მთავრობის თავმჯდომარის განკარგულება #7
2	02 02 01 03	დაბა ქედაში და დაბის მიმდებარე ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემის მოწყობა	118 500	აჭარის ა.რ. მთავრობის თავმჯდომარის განკარგულება #6
3	05 04 02	წონიარისის კულტურისა და ადმინისტრაციული შენობის რემონტი	450 000	
		ჯამი	652 579	

№	პროგრამული კოდი	ასიგნებების დასახელება	თანხა +/-	შენიშვნა
1	02 01 01	შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია	144 220	
2	02 03 03 06	ზვარის ადმინისტრაციულ ერთეულში შენობის მიმდებარედ პარკის მშენებლობა	58 359	
3	05 04 01	ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოში არსებული კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის რემონტი	450 000	
4	05 02 01	ა.ა.ი.პ ქედის კულტურის ცენტრი	0	მუხლებს შორის ცვლილება (შრომის ანაზღაურებიდან სოციალურში 1278 ლარი)
5	05 02 02	ა.ა.ი.პ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება	0	მუხლებს შორის ცვლილება (შრომის ანაზღაურებიდან სოციალურში 611 ლარი)
6	02 03 02	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება		მუხლებს შორის ცვლილება (სხვა ხარჯებიდან არაფინანსურ აქტივები 200 000 ლარი)
		ასიგნებების ჯამი	652 579	X
		ს ხ ვ ა ო ბ ა	0	X

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი მახარაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს სოფელ დანდალოსა და წონიარისის თემში კულტურის სახლების რეაბილიტაცია რა ვადებში იქნებოდა შესრულებული.

მომხსენებელმა განმარტა, რომ წონიარისის კულტურის სახლი ორწლიანი პროექტით იქნება შესრულებული, რაც შეეხება დანდალოს კულტურის სახლის რეაბილიტაციას, ერთწლიანი პროექტით უნდა განხორციელდეს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი -0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება №4. 25.02.2022 წელი).

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინას და აღნიშნა, რომ ეს ომი მხოლოდ უკრაინის ბრძოლა არაა თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის, თუ ამ ომში უკრაინა დაეცემა ეს უკვე საქართველოს დაცემას, ქართველი ხალხის დასავლურ მომავალზე უარის თქმას ნიშნავს, შემდეგ მადლობა გადაუხადა თითოეულ მებრძოლ უკრაინელს და ქვეყნის უმაღლეს მთავარსარდალს.

ასევე, კომენტარი გააკეთა 2022 წლის 18 თებერვალს ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში მოხდარ გაუგებრობაზე, სადაც ქედის მუნიციპალიტეტის მერს როლანდ ბერიძეს მშიშარა უწოდა, რაგდანაც საკრებულოს სამი წევრის მიღება ვერ შეძლო. უკმაყოფილება გამოთქვა ასევე შენობაში დაცვის პოლიციით ორგანიზებაზე, როცა მხოლოდ დიალოგი სურდათ მოსახლეობის პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით. განაცხადა რომ მერი რომელიც ადამიანების შეხვედრებისაგან დაცვის პოლიციით იცავს თავს, საბოლოოდ მას დაცვის პოლიციით მოუწევს თანამდებობის დატოვება.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ ირაკლი მახარაძემ განაცხადა, რომ მათვის გასაკვირი და მიუღებელი იყო მერის მხრიდან ასეთი კომუნიკაციის ფორმა, მაშინ როდესაც კითხვებზე პასუხი ჭირდებოდათ და შეურაცყოფის მიყენებას არავინ აპირებდა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნულ განცხადებებთან დაკავშირებით განმარტა, რომ 18 თებერვალს ქედის მუნიციპალიტეტის მერი ქალაქ ბათუმში ორ შეხვედრაზე იმყოფებოდა და ის ფიზიკურად ვერ შეძლებდა მათ მიღებას, რაც შეეხება შენობაში დაცვის პოლიციით მობილიზებას ეს საკითხი მისთვის ცნობილი არ იყო.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარე ლევან ვერძაძემ განაცხადა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე მშიშარა ადამიანი ნამდვილად არაა, ის უბრალოდ არ იმყოფებოდა იმ დღეს ადგილზე, თორემ არანაირი პრობლემა არ იქნებოდა მათი მიღება.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე არჩილ გორგილაძემ მიმართა კოლეგებს, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე არასდროს ამბობს უარს კომუნიკაციის არცერთ ფორმაზე, არც უშუალო მიღებაზე და არც სხდომაზე მოწვევის შემთხვევაში. შემდეგ ურჩია საკრებულოს წევრებს, საკრებულოს სხდომაზე მიეწვიათ როლანდ ბერიძე და მიიღებდნენ მათ კითხვებზე პასუხებს.

დავით სირაბიძემ განაცხადა რომ ამ ეტაპზე კომუნიკაციის ეს ფორმა ჰქონდათ შერჩეული და თუ საჭირო გახდება სხდომაზეც მოიწვევენ.

2. მოისმინეს: ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა მუხრან სალაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი №95-95220343, 03.02.2022 წელი, დ.9595220541; 23.02.2022) და განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესაბამისად, ცვლილებები შედის დადგენილებით დამტკიცებული დანართის სხვადასხვა მუხლში და აისახება თვითმმართველობის კოდექსში შესული ცვლილებები. ცვლილების თანახმად, იცვლება საკრებულოს წევრების რაოდენობა, რეგლამენტში ემატება საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები, ასევე განისაზღვრება საკრებულოს მორიგი სხდომის თარიღი. ცვლილებები შედის საკრებულოს პირველი სხდომის, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციის ნაწილში, აღნიშნული ცვლილებების შედეგად ხდება რეგლამენტის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანა.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ გამოთქვა სურვილი, რომ კარგი იქნებოდა ფრაქციის უფლებები გაზრდილიყო, კერძოდ საკრებულოს პირველი მოადგილის და მოადგილეების კანდიდატურების დასახელების უფლების მინიჭებით, მაშინ როდესაც საკრებულოს წევრთა 1/5 აქვს უფლება დასვას საკითხი მათი გადაყენების თაობაზე. მნიშვნელოვანი იქნებოდა საკრებულოს რეგლამენტში ფრაქციის უფლებების გაზრდა.

კითხვასთან დაკავშირებით მომხსენებელმა განმარტა, რომ საქართველოს თვითმმართველობის კოდექსიდან გამომდინარე საკრებულოს არ აქვს უფლება მსგავსი რამ ჩაწეროს რეგლამენტში, რადგანაც შეუსაბამობაში მოვა ზემდგომ კანონთან - ადგილობრივ თვითთმართველობის კოდექსთან, რომელიც პირდაპირ არეგულირებს საკრებულოს პირველი მოადგილის და მოადგილეების კანდიდატურების დასახელების უფლებამოსილებას. აქედან გამომდინარე თუ კოდექსით განსაზღვრული არ არის მითითება, კონკრეტულ საკითხზე საკრებულოს რეგლამენტით დარეგულირება, ვერ შევა რეგლამენტში, რადგან იერარქიულად მაღალი კანონია თვითმმართველობის კოდექსი რეგლამენტზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს წარმოდგენილი სახით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 18

წინააღმდეგი - 3 (დავით სირაბიძე, მინდია არძენაძე და ირაკლი მახარაძე).

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

(დადგენილება №5, 25.02.2022 წელი).

3. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის სოფლების ზენდიდისა და ცხემნის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაციასთან დაკავშირებით განხორციელებული სამუშაოების შესწავლის მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ წინადადების მოწონების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა დავით სირაბიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ,,ქედის მუნიციპალიტეტის სოფლების ზენდიდისა და ცხემნის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაციასთან დაკავშირებით განხორციელებული სამუშაოების შესწავლის მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ წინადადების მოწონების შესახებ „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი №95-95220352, 04.02.2022 წელი) და განმარტა, რომ აღნიშნული საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით კარგი იქნება, თუ შეიქმნება დროებითი სამუშაო ჯგუფი. აქვე აღნიშნა, რომ დროებითი ჯგუფის შექმნა არანაირ ფინანსურ ხარჯებს არ მოითხოვს, უბრალოდ იქნება შესწავლილი ეს საკითხი უკეთ და გაირკვევა, თუ რას მოხმარდა აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად გამოყოფილი 200 000 ლარი, მაშინ როდესაც ობიექტი დღემდე არ ფუნქციონირებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დამსწრე საზოგადოებას ფოტომასალაც გააცნო.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ მიმართა კოლეგებს მხარი დაეჭირად წარმოდგენილ საკითხზე და განაცხადა, რომ პროექტი სამი წლის წინ ჩაიბარა ქედის მუნიციპალიტეტის შესაბამისმა სამსახურმა, თუმცა დღემდე იქ მცხოვრები ადამიანები კვლავ სასმელი წყლის გარეშე იმყოფებიან. ამიტომაც საჭიროა საკითხის უკეთ შესწავლა და გაირკვეს ვისი ბრალეულობა იკვეთება, მოხდეს შემსრულებელი ორგანიზაციის დაჯარიმება მუნიციპალიტეტის მიერ, საქმის არაჯეროვნად შესრულების გამო, რადგანაც მომავალში სხვა მომწოდებელი ორგანიზაციებისათვის მაგალითი რომ გახდეს.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი მახარაძემ განაცხადა, რომ როგორ შეიძლებოდა სამუშაოები დასრულებულიყო, მაშინ როდესაც სოფელ ზენდიდსა და ცხემნის სასმელი წლის რეზერვუარები დღემდე ცარიელია და მასზე სასმელი წლის მილებიც კი არ არის დაკავშირებული. აღნიშნული საკითხის უკეთ შესწავლა მოუწოდა საკრებულოს წევრებს პრობლემის აღმოსაფხვრელად.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსს სულიკო ბოლქვაძეს თხოვა გაეკეთებინა კომენტარი კითხვებთან დაკავშირებით.

სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ ეს პროექტი ხარვეზით არ იყო განხორციელებული, პირიქით აღნიშნული ტენდერი იმ მოცულობისა და ხარჯების ფარგლებში, რა თანხაც იყო გამოყოფილი მუნიციპალიტეტის მიერ, ზუსტად იყო შესრულებული. თუმცა პროექტის დასრულების შემდეგ მომხდარი სტიქიური მოვლენების გამო, კერძოდ მიწისძვრისა და მეწყრული პროცესების მიერ, წყალსადენის სათავე ნაგებობა წყლით ვეღარ შეივსო, მოხდა წყლების დაკრგვა იმ მონაკვეთსში, საიდანაც უნდა ჩაშვებულიყო სათავე რეზერვუარებში. ამიტომ ბუნებრივი მოვლენების გამო დაიკარგა წყლის დებეტი. თუმცა მოსახლეობას წყლის პრობლმა მხოლოდ ზაფხულობით ქონდა, რა დროსაც ქედის წყალკანალის მიერ დროებით რეზერვუარში ჩაშვებულ იქნა ახლომდებარე წყაროს წყლები და ზაფხულში უწყლობა მოსახლეობას არ უგძვნია. მან თხოვნით მიმართა საკრებულოს, რომ ახლო მომავალში მოწვეულ იქნას მუნიციპალიტეტის მიერ

სპეციალისტები, ეს არ იქნება დიდ თანხებთან დაკავშირებული, რათა მოძიებული იქნას წყლის რესურსი, რომ აღნიშნული პრობლემა აღმოიფხვრას.

საკრებულოს წევრმა გოჩა ჯღენტმა კითხვით მიმართა მომხსენებელს, მაშინ როდესაც 2020 და 2021 წლებში აღნიშნული ტერიტორიიდან წყალი არ მიეწოდებოდა ორ სოფელს, რატომ არ დაინტერესდა მერიის შესაბამისი სამსახურები, რომ პრობლემა დროულად მოგვარებულიყო.

საკრებულოს წევრის, ვაჟა აბულაძის განმარტებით, სამშენებლო სამუშაოები პროექტის შესაბამისად შესრულდა, მიუხედავად ბუნებრივი მოვლენების გამო მომხდარი წყლის რესურსის დაკარგვისა, 2020 და 2021 წელს მოსახლეობას სასმელი წყლის პრობლემა არ შექმნია სწორედ მერიის შესაბამისი სამსახურების გამართულად მუშაობის დამსახურებით, ამიტომ გაუგებარია საკრებულოს წევრის გოჩა ჟღენტის განცხადება.

მომხსენებელმა დავით სირაბიძემ განაცხადა, რომ ის არ ელოდა საკრებულოს მხრიდან ამ საკითხის განხილვას სხვა ჭრილში, თუ ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს მიერ ინიცირებულ საკითხს საკრებულო მხარს არ დაუჭერდა, ესეიგი მათ მხარი დაუჭირეს მუნიციპალიტეტის მიერ ტყუილუბრალოდ გაფლანგულ 200000 ლარსაც.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 15

დაადგინეს: არ იქნას მიღებული წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95220262, 25.02.2022 წელი).

4. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი №95-95220551, 24.02.2022 წელი).

აზრი გამოთქვეს:

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, რატომ შეუწყდა გაფორმებული ხელშეკრულებები ორ კომპანიას შპს ,,აჭარსპეც პროექტი"-ს და შპს ,,ჯიაპი არქიტექტურა"-ს. ასევე დაინტერესდა სოფელ ჩეტკიძეებში უსუფ ბერიძის სახლთან გზის საფარის (ბეტონით) დაგების თაობაზე, სადაც ტენდერი მოიგო იმ კომპანიამ, რომელმაც სხვებზე დიდი თანხა მოითხოვა მის განსახორციელებლად. განაცხადა, რომ მისთვის დაუჯერებელია სიმპატიების გარეშე ერთი და იგივე კომპანია როგორ იმარჯვებს ქედის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ყველა ტენდერს.

მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ განმარტა, რომ აღნიშნულ ორ კომპანიას ,,ჯიაიპი არქიტექტურა"-ს იანვრის თვეში და ,,აჭარსპეც პროექტი"-ს ნოემბრის თვეში დაუსრულდათ ხელშეკრულების ვადები და სწორედ მაგიტომ არ იყო წარმოდგენილი ეგ ორი კომპანია ანგარიშში. რაც შეეხება ტენდერის პირობებს, მხოლოდ თანხა არ განსაზღვრავს ტენდერში გამარჯვების პირობას, მოგებული კომპანია სხვა მოთხოვნებსაც უნდა აკმაყოფილებდეს.

კერძოდ უნდა უნდა ჰქონდეს შესაბამისი გამოცდილება, ჰყავდეს სპეციალისტები და უნდა იყოს ტექნიკით აღჭურვილი.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ განაცხადა, რომ გასული წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უამრავი საქმე გაკეთდა: საყრდენი კედლები ჩამოისხა, გზები დაიგო და სხვა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ღონისძიება განხორციელდა, იმედი გამოთქვა რომ 2022 წელს კიდევ უამრავი საქმე გაკეთდება მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 6

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95220261, 25.02.2022 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 13:20 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში **ნონა თებიძე**